**რომან ბოკერიას სამოტივაციო და პირადი წარდგინების წერილი**

სსიპ „საპენსიო სააგენტოს“ დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

წარმოგიდგენთ ჩემს კანდიდატურას სსიპ „საპენსიო სააგენტოს“ დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე. ვთვლი, რომ ჩემი ეროვნული და უცხოური აკადემიური განათლება, აგრეთვე საქართველოს, ინგლისის, იაპონიის და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული სამუშაო გამოცდილება - 23 წლიანი პროფესიული (ფინანსური მენეჯმენტში) მოღვაწეობის დროს მიღწეული წარმატებები, ნათელი წინაპირობაა ჩემი კანდიდატურის ღირსეულად წარდგენისათვის გამოცხადებულ კონკურსში.

ერთი წინადადებით რომ ვთქვათ, სსიპ „საპენსიო სააგენტოს“ წარმატებული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ჩემი შემოთავაზებული სამოქმედო გეგმა არის - სრული გამჭირვალეობის, საერთაშორისო ფინანსური მენეჯმენტის - ანგარიშგების დანერგვით „პერფორმანსის“ და ეფექტიანობის ინდიკატორების შემუშავება/დამტკიცება. მათი მიღწევის კონკრეტული ღონისძიებების დასახვა და ეტაპობრივი რეალიზაცია „ჩეკპოინტებზე“ პროგრეს „რეპორტების“ ანალიზის მეშვეობით. „საპენსიო სააგენტოს“ განვითარების და ფუნქციონირების სრულყოფა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

მოთხოვნათა შესაბამისი განათლება :

გამაჩნია აკადემიური განათლება ფინანსებში და ინვესტიციების მენეჯმენტში, კერძოდ, 2010 წელს დავამთავრე აშშ-ის ტამპის უნივერსიტეტის საიკსის ბიზნესს სკოლა და მომენიჭა MBA-ს აკადემიური ხარისხი ფინანსებში და ინვესტიციების მართვაში, (MBA in Finance, Sykes College of Business, The Univesity of Tampa, U.S.). MBA-ის სწავლის პერიოდში ვმუშაობდი ტამპის უნივერსიტეტის ფინანსებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტებზე აკადემიური ასისტენტის (Graduate Assistant) თანამდებობაზე (იხილეთ დანართი N1 – MBA დიპლომი და დანართი N2 უნივერსიტეტის პროფესორის & ასოცირებული დეკანის სარეკომენდაციო წერილი).

2003 წელს დაუსწრებლად დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია ბიზნესს სამართალის მიმართულებით (იხილეთ დანართი N3 – იურისტის დიპლომი).

1996 წელს დავამთავრე სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მომენიჭა საერთაშორისო ეკონომისტის ხარისხი. ამავდროულად დავამთავრე საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტი და მომენიჭა ბანკის მენეჯერის კვალიფიკაცია (იხილეთ დანართი N4 - საერთაშორისო ეკონომისტის დიპლომი და დანართი N5 - ბანკის მენეჯერის დიპლომი).

შესაბამისი აკადემიური სწავლებისა და აშშ-ის პროფესიული სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მივიღე საიპოთეკო სესხის ბროკერის, უძრავი ქონების ბროკერისა და ბიზნეს ბროკერის სახელმწიფო ლიცენზიები. ჩემი ამერიკული განათლებისა და 14 წლიანი ამერიკული სამუშაო გამოცდიელების თვალსაჩინოების მიზნით იხილეთ სარეკომენდაციო წერილი აშშ-ს რეგიონალური გენერალური ინსპექტორისგან (იხილეთ დანართი N6).

მოთხოვნათა შესაბამისი სამუშაო გამოცდილება :

2019 წლის თებერვლის თვიდან დღეის მდგომარეობით ვარ ავიაკომპანია „ჯეორჯიან ეარვეისის“ (Georgian Airways) გენერალური დირექტორი. ჩემი მიზანია კომპანიაში არსებული და ყველა შესაძლებელი რეგიონალური რესურსის მოძიება, ამოქმედება, ოპტიმიზაცია - ეკონომიურობის, ეფექტურობის და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, რაც შესაბამისად ფინანსურად წარმატებული კომპანიის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. სწორი სტრატეგიული რეფორმირების და თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის დანერგვის შედეგად შესაძლებელია ავიაკომპანია „ჯეორჯიან ეარვეისი“-ს რეგიონალურ ლიდერად ჩამოყალიბება.

2007 წლის მაისის თვიდან, 2019 წლის იანვრის თვემდე ვმოღვაწეობდი აშშ-ში, კერძოდ, თავდაპირველად (05.2007-07.2008) როგორც საერთაშორისო აუდიტორი აშშ-ის ფედერალური, შტატის და ქალაქ ატლანტის სახელმწიფო აუდიტორულ სამსახურებში აშშ-ის მთავრობათაშორისი აუდიტორული ფორუმის (South East Intergovernmental Audit Forum – SEIAF) საქმიანობის ფარგლებში. (იხილეთ დანართი N7 - აშშ-ის მთავრობათაშორისი აუდიტორული ფორუმის (SEIAF) სარეკომენდაციო წერილი).

შემდეგ 2008 წლის აგვისტოდან, 2010 წლის აგვისტომდე ვსწავლობდი MBA-ს პროგრამით და ამავდროულად ვმუშაობდი ტამპის უნივერსიტეტის ფინანსთა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტებზე აკადემიურ ასისტენტად.

MBA-ს დამთავრების შემდეგ, 2011 წლის იანვრიდან, 2014 წლის აგვისტომდე ვმუშაობდი ვორენ ბაფეტის ერთ-ერთ კომპანიაში - „რეალ ლივინგ ფირსტ სერვის რეალტიში“, ფინანსური ანალიტიკოსის, შემდგომ კი ქალაქ მაიამის რეგიონალური ოფისების მანეჯერის პოზიციაზე.

2014 წლის აგვისტოდან, 2019 წლის იანვრამდე ვმუშაობდი „რედ სქვეარ ჰოლდინგში“, „რედ ბოქს რეალტიში“, „რედ ბოქს ლენდინში“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე, როგორც ბიზნესს ბროკერიჯის ბროკერი, უძრავი ქონების ბროკერი და საიპოთეკო სესხების ბროკერი. აგრეთვე, 2017 წლიდან არჩეული ვიყავი ქალაქ მაიამის ბროკერთა ასოციაციის დირექტორთა საბჭოს მმართველად და პარალელურად - მაიამის ბროკერთა ასოციაციის საარბიტრაჟო სასამართლოს და ეთიკის ტრიბუნალის მოსამართლედ (იხილეთ დანართი N8 - „რეალ ლივინგ ფირსტ სერვის რეალტის“ პრეზიდენტის სარეკომენდაციო წერილი).

აშშ-ში ხშირად მიწევდა საპენსიო ფონდებთან მუშაობა როგორც დივერსიფიცირებული რეალური აქტივების საინვესტიციო პორტფოლიოს შემქმნელს, შემდგომ კი მენეჯერს. ჩემი MBA-ს შემაჯამებელი დისერტაციის თემა გახლდათ დივერსიფიცირებული რეალური აქტივების საინვეტიციო პორტფოლიოს შექმნა, ინვესტორების დაინტერესება და მათი ფინანსური რესურსების მოზიდვა ჩვენს დივერსიფიცირებულ, რეალური აქტივების საინვესტიციო პორტფოლიოში განსათავსებლად (Tangible Asset Investment Portfolio Management). კერძოდ, ვიძიებდით საინვესტიციო ბანკების ხელთ არსებულ გაკოტრებულ უძრავი ქონების ინვენტორს. საბითუმო პირობებით, 15%-დან, 30%-მდე ფასდაკლებით ვყიდულობდით საინვესტიციო ბანკების მიერ ჩამორთმეული უძრავი ქონების აქტივებს, რისი რეაბილიტაციის შემდეგ, აღდგენილი კომერციული და სამოქალაქო აქტივები ქირავდებოდა, რაც ქმნიდა ყოველთვიურ გარანტირებულ შემოსავალს.

საშუალოდ, შემოსავლებიდან ყველა ხარჯების დაფარვის შემდეგ, გარდა სესხის პროცენტისა და საგადასახადო მოსაკრებლებისა (IBIT – Interest Before Interest and Taxes), წმინდა მოგება კონსერვატიული შედეგებით მერყეობდა 7%-დან, 12%-ის ფარგლებში (დამოკიდებული იყო აქტივის ადგილმდებარეობასა და რეაბილიტაციის ხარისხზე). ყოველთვიურ წმინდა მოგებას ემატებოდა რეალური აქტივების - კომერციული და სამოქალაქო უძრავი ქონების ყოველწლიური ფასის ზრდა - საშუალოდ 3%-დან, 5%-მდე. შესაბამისად, აშშ-ს და აგრეთვე საერთაშორისო საპენსიო ფონდები დიდი დაინტერესებით თანამშრომლობდნენ და მსგავსი სახის რეალური აქტივების საინვესტიციო პორტფოლიოს ყიდულობდნენ ჩვენგან. დამატებით, საპენსიო ფონდები გვთავაზობდნენ ჩვენს მიერ შექმნილ საინვესტიციო პორტფოლიოში შემავალი აქტივების ყოველდღიურ მენეჯმენტს ადგილზე (Property Management).

2002 წლის მაისის თვიდან, 2008 წლის ივლისამდე სხვადასხვა დროის მონაკვეთში ვმოღვაწეობდი აშშ-ს სახელმწიფო აუდიტორულ ოფისში (U.S. Government Accountibility Office – GAO). გხთოვთ, იხილოთ დანართი N9 - ერთად გაერთიანებული U.S. GAO-ს რამოდენიმე სარეკომენდაციო წერილები, ამერიკაში მიღწეული ზოგიერთი აუდიტორული წარმატებების შესახებ.

2002 წლიდან აშშ-ის სახელმწიფო აუდიტორულ ოფისში (U.S. GAO) მოღვაწეობის დაწყების შემდეგ გავერთიანდი ამერიკის რესპუბლიკურ პარტიაში და შესაბამისად ჩემს ქალაქში - მაიამიში ვხელმძღვანელობდი პარტიის კანდიდატურების საარჩევნო კამპანიებს, რომელთა საარჩევნო შტაბები განთავსებული იყო ჩემი ბიზნესის ოფისებში. 2016 წელს აქტიური მონაწილეობა მივიღე პრეზიდენტ დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიაში. 2016 წლის 5 ნოემბერს, აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნების დღემდე სამი დღით ადრე, ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურ საგაზეთო გამოცემაში ვაშინგტონ პოსტში (The Washington Post) პირველ გვერდზე დაიბეჭდა ჩემი ანალიტიკური სტატია და ინტერვიუ - ანალიზით ტრამპის ფლორიდის უძრავი ქონების ბიზნესის შემოსავლებთან დაკავშირებით. რაც პრეზიდენტის არჩევნებამდე სამი დღით ადრე, მთავარ ლიბერალურ გაზეთში ტრამპის მხარდამჭერი სტატიის პირველ გვერდზე გამოჩენა შოკისმომგვრელი იყო და დადებითად აისახა ტრამპისადმი საზოგადოების მხარდაჭერაში, რასაც მოჰყვა პრეზიდენტ ტრამპის მრავალი სამადლობელი წერილი ჩემს სახელზე (იხილეთ დანართი N10 და N11 - პრეზიდენტი ტრამპის მადლობის ბარათები).

2000 წლის ივლისის თვიდან, 2007 წლის მაისის თვემდე ვმოღვაწეობდი საქართველოს კონტროლის პალატაში - როგორც დეპარტამენტის უფროსი, პრეზიდიუმის წევრი და შემდგომ კი საქართველოს კონტროლის პალატის თავჯდომარის მოადგილე. 2005 წლის იანვარში ამერიკულმა ჟურნალმა FORBES ჩემზე დაწერა დადებითი სტატია - The Bribe Buster, სადაც პოზიტიურად აღინიშნა საქართველოს კონტროლის პალატაში მიმდინარე რეფორმები და ჩემი როლი ამერიკულ/ევროპული აუდიტის და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებით სახელმწიფო რეფორმების რეალიზაციაში და კორუფციის წინააღმდეგ ბრძლოლაში (იხილეთ დანართი N12 - ამერიკული FORBES სტატია). პარალელურად, საქართველოს კონტროლის პალატაში ვხელმძღვანელობდი გაეროს საერთაშორო განვითარების ფონდის (UNDP), აშშ-ს სახელმწიფო აუდიტორული ოფისის (U.S. GAO), აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის (U.S. DOJ), მსოფლიო ბანკის (WB), გერმანიის ტექნიკური

განვითარების ფონდის (GTZ) და დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების ფონდის (DFID) მიერ დაფინანსებულ რეფორმების ფართო მაშტაბიან პროცესს. შედეგად, დღეს საქართველოში არსებობს საერთაშორისო სტანდარტებით ფუნქციონირებადი სახელმწიფო აუდიტორული სამსახური, სადაც დავნერგე ახალი, თანამედროვე - „ეფექტიანობის აუდიტი“. რეფორმის მიზანი იყო პოსტსაბჭოური „სახალხო კონტროლის“ უწყებიდან შეგვექმნა საერთაშორისო სტანდარტებით ფუნქციონირებადი სახელმწიფო აუდიტორული სამსახური (იხილეთ დანართი N13 - აშშ-ის საელჩოს და აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სარეკომენდაციო წერილი).

2007 წელს, გაეროს საერთაშორისო განვითარების ფონდმა (UNDP) ჩემი ავტორობით გამოსცა მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო „ეფექტიანობის აუდიტის დანერგვის პრობლემები საქართველოში“, რომლის მიხედვითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს „ეფექტიანობის აუდიტის“ შესახებ და კონტროლის პალატაში ვნერგავდი საერთაშორისო ფინანსური კონტროლის და ანგარიშგების მექანიზმებს ეფექტიანობის აუდიტის სტანდარტების შესაბამისად. ამავე დროს დავაფუძნე და ვხელმძღვანელობდი „ახალგაზრდა აუდიტორთა ასოციაციას“ (იხილეთ დანართი N14 - მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო „ეფექტიანობის აუდიტის დანერგვის პრობლემები საქართველოში“).

1999 წლის ივნისიდან, 2000 წლის ივნისამდე ვმუშაობდი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ეკონომიკის დეპარტამენტის დირექტორად. აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტოს (USAID), აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის (U.S. DOT) და მსოფლიო ბანკის (WB) ფინანსური/ტექნიკური დახმარებით ვნერგავდით ერთიანი საერთაშორისო სტანდარტების პრინციპით ფუნქციონირებად ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემას საქართველოს სათბობ ენერგეტიკის დარგში. შედეგად გამოვლინდა და შემდგომ გამოსწორდა მრავალი სახის დარღვევები საქართველოს ელექტროენერგიის გენერირების, გადაცემის, დისტრიბუციისა და ენერგო ბაზრის საქმიანობაში. მიღწეული წარმატებების საფუძველზე დავწინაურდი და დავინიშნე საქართველოს კონტროლის პალატის დეპარტამენტის უფროსად და პრეზიდიუმის წევრად (იხილეთ დანართი N15 და N16, USAID-ს და U.S. DOT-ის სარეკომენდაციო წერილები).

სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1997 წლიდან, 1999 წლის ივნისის თვემდე ვმუშაობდი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვალის მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ჩემს მოვალეობაში შედიოდა საერთაშორისო დონორ ფინანსურ ინსტიტუციებთან ურთიერთობა, როგორებიც არიან: მსოფლიო ბანკი (WB); ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD); გერმანიის ფინანსური დახმარების ორგანიზაცია (KfW) და იაპონიის ეკსპორტ-იმპორტ ბანკი (JEXIM – now Japan Bank for International Cooperation - JBIC). ჩვენი მიზანი იყო მათგან გრძელვადიანი, ქვეყნის სტრატეგიული დარგების განვითარების უზრუნველმყოფი შეღავათიანი (LIBOR +1) პირობებით სესხების მოზიდვა და შემდგომ ამ ფინანსური რესურსების განთავსება საქართველოს ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის და სხვა მნიშვნელოვან სექტორებში სახელმწიფო კრედიტების სახით. იაპონიაში სამსახურებრივი მივლინების შემდეგ და იაპონიის ექსპორტ-იმპორტ ბანკიდან (JEXIM) 48 მილიონი აშშ დოლარის შეღავათიანი სესხის მოზიდვის - „ლაჯანურისა“ და „ხრამის“ ელექტროსადგურების

რეაბილიტაციაში განთავსების შემდეგ დავწინაურდი და დავინიშნე საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ეკონომიკის დეპარტამენტის დირექტორად. (იხილეთ დანართი N17 – CV რეზუმე და იხილეთ დანართი N18 - შრომის წიგნაკის და დანიშვნის ცნობების ასლი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მსურს, რომ ჩემი ეროვნული და უცხოური აკადემიური განათლება, აგრეთვე საქართველოში, ინგლისში, იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული 23 წლიანი სამუშაო გამოცდილება მოვახმარო ჩემს სამშობლოს, დღევანდელ პოლიტიკურად და ეკონომიკურად მნიშვნელოვან, გარდამტეხ ისტორიულ პერიოდში. სწორედ იმ სამსახურში როგორიცაა საპენსიო სააგენტო, რომელიც საჭიროებს განვითარებას და ფუნქციონირების სრულყოფას ეროვნულ რეალობებში არსებული გამოძახილების გათვალისწინებით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად.

ღრმა პატივისცემით,

Roman Bokeria, MBA
GENERAL DIRECTOR
GEORGIAN AIRWAYS
12 Rustaveli Ave, Tbilisi, 0108, Georgia
Cell: +995-571-111-875
Office: +995-322-157-527
roman.bokeria.us@gmail.com
r.bokeria@georgian-airways.com
www.linkedin.com/in/roman-bokeria-mba-ab88965/

## დანართები:

N1 – MBA დიპლომი;
N2 - უნივერსიტეტის პროფესორის & ასოცირებული დეკანის სარეკომენდაციო წერილი;
N3 – იურისტის დიპლომი;
N4 - საერთაშორისო ეკონომისტის დიპლომი;
N5 - ბანკის მენეჯერის დიპლომი;
N6 - აშშ-ს რეგიონალური გენერალური ინსპექტორის სარეკომენდაციო წერილი;
N7 - აშშ-ის მთავრობათაშორისი აუდიტორული ფორუმის (SEIAF) სარეკომენდაციო წერილი;
N8 - „რეალ ლივინგ ფირსტ სერვისე რეალტის“ პრეზიდენტის სარეკომენდაციო წერილი;
N9 - ერთად გაერთიანებული U.S. GAO-ს რამოდენიმე სარეკომენდაციო წერილები, ამერიკაში მიღწეული ზოგიერთი აუდიტორული წარმატებების შესახებ;
N10 - პრეზიდენტი ტრამპის I მადლობის ბარათი;
N11 - პრეზიდენტი ტრამპის II მადლობის ბარათი;
N12 - ამერიკული FORBES სტატია The Bribe Buster;
N13 - აშშ-ის საელჩოს და აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის (U.S. DOJ) სარეკომენდაციო წერილი;
N14 - მეთოდური-პრაქტიკული სახელმძღვანელო „ეფექტიანობის აუდიტის დანერგვის პრობლემები საქართველოში“;
N15 - აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტოს (USAID) სარეკომენდაციო წერილი;
N16 - აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის (U.S. DOT) სარეკომენდაციო წერილი;
N17 – CV რეზუმე;
N18 - შრომის წიგნაკის და დანიშვნის ცნობების ასლი.